ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8053763

ნომერი: AR1934759

თარიღი : 17.11.2022

გაცემის თარიღი : 20.08.2026

გაცნობის თარიღი : 24.08.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეფე მირიანი , N 124;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ალექსანდრე კორკოტაშვილი პ/ნ 01030051890
- თბილისი ე.ნინოშვილის ქ. N 21

ორგანიზაცია:
- "ნსლაინ" კოდი: 400149111

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3093437 (4223206 25/10/2018)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 15.02.2017

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ალექსანდრე კორკოტაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ბილდერი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404552382
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირაკლი თუშიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01020005927

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2500.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 947.4
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 13020.2
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 9609.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1499.3
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1220.4
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 691.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 51736.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 50600.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1136.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 54.65
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 53.45
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 947.4 კ1=0.4
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2=12803.1/2500=5.12 კ2=5.1
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 605.6 კ3=0.2

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4420332
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 19.03.2019

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4482063
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 1.05.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. დამკვეთის ინფორმაციის ველები შეივსოს გამართულად: ირაკლი თუშიშვილის ნაცვლად მიეთითოს შპს "მს ბილდერის" ამჟამინდელი დირექტორი და მისი პირადი ნომერი. ორგანიზაციის ველში დაფიქსირდეს შპს მ"მს ბილდერი". წარმოდგენილ იქნეს შპს "მს ბილდერის" ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შეთანხმებული პროექტის ავტორის

მიერ გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ალექსანდრე კორკოტაშვილის მიერ ცვლილების შეტანის თაობაზე (მინდობილობა მისაღები არ არის).

2. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შეთანხმებული პროექტის ავტორის მიერ გაცემული, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ალექსანდრე კორკოტაშვილის მიერ ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:
- ნიშნულზე კიბის უჯრედის ტამბურის გაუქმება არ არის მისაღები.
- +36.00 ნიშნულზე ტერასებით დაცული იქნას მიჯნის ზონა შეთანხმებული პროექტის შესაბამისად. გეგმებზე დაიტანეთ ექსპლიკაციები შესაბამისი ტექნიკურეკონომიკური მაჩვენებლებით.

4. შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.:
- საზოგადოებრივი სივრცეების მხარეს, მათ შორის ჩრდილოეთის მხრიდან შეთანხმებულ პროექტთან მიმართებაში სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების გაუარესება არ არის მისაღები. ამჟამად წარმოდგენილი სახით ხდება მასალების გაუარესება (აგურით მოპირკეთების ცვლილება აგურის ფაქტურიანი პენოპლასტით ცვლილება არ არის მისაღები).

5. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი:
- ვინაიდან მშენებლობის ნებართვის ვადა გასულია, საჭიროა გადაიხადოთ მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი კ2 კოეფიციენტის რიცხვითი მაჩვენებლის ოთხმაგი ოდენობით. ასევე, საჭიროა გადაიხადოთ მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი საყრდენი კედლების მოცულობის და კლასის შესაბამისად.

6. კორექტირებული პროექტის მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. - > .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.:
- მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის საჭიროა წაროდგენილ იქნას ჩასატარებელი/დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების შესასბამისი სამშენებლო გრაფიკი.

7. წარმოდგენილი იქნას საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოვლენილი დარღვევების გათვალისწინებითა და აღწერით. განიმარტოს დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა შეესაბამება თუ არა სამშენებლო ნორმებსა და წესებს, უზრუნველყოფილია თუ არა გამოვლენილი დარღვევების გათვალისწინებით შენობის მდგრადობა და საიმედოობა.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.